შეთანხმება № 14/02-156/3195

„სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში ფიზიკურ პირზე არსებული ინფორმაციის სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრისათვის“ მიწოდების შესახებ“ 2014 წლის 31 ოქტომბრის №14/02-156 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისი **28 ოქტომბერი, 2016 წ.**

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - **სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო** (შემდგომში - სააგენტო), წარმოდგენილი სააგენტოს მხარდაჭერის დეპარტამენტის დირექტორის, **ნინო ინწკირველის** სახით, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - **მონაცემთა გაცვლის სააგენტო** (შემდგომში – მონაცემთა გაცვლის სააგენტო), წარმოდგენილი მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარის, **ირაკლი გვენეტაძის** სახით, **საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო** (შემდგომში - სამინისტრო), წარმოდგენილი მინისტრის მოადგილის, **ზაზა სოფრომაძის** სახით და საჯარო სამართლის იურიდიული პირი - **“ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი”** (შემდგომში - ცენტრი), წარმოდგენილი ცენტრის გენერალური დირექტორის, **ამირან გამყრელიძის** სახით, შემდგომში ერთობლივად წოდებულნი როგორც - მხარეები,

„სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში ფიზიკურ პირზე არსებული ინფორმაციის სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრისათვის“ მიწოდების“ მხარეთა შორის 2014 წლის 31 ოქტომბერს დადებული №14/02-156 ხელშეკრულების 10.2 პუნქტისა და ცენტრის 2016 წლის 07 სექტემბრის №06/4449 წერილის (სააგენტოში რეგისტრაციის №167005; 07.09.2016 წ.) შესაბამისად, წინამდებარე შეთანხმებით თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1. შეთანხმების საგანი

შეთანხმების საგანია მხარეთა შორის 2014 წლის 31 ოქტომბერს დადებულ №14/02-156 ხელშეკრულებაში (შემდგომში - ხელშეკრულება) ცვლილების შეტანა.

მუხლი 2. ცვლილება ხელშეკრულებაში

2.1 ხელშეკრულების 7.1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7.1 ელექტრონული სერტიფიკატის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე უფლებამოსილი პირები არიან: სააგენტოს მხრიდან - გარე მომხმარებლებთან ურთიერთობების მართვის სამსახურის უფროსი - **ზურაბ ქუქჩიშვილი** (ZURAB KUKCHISHVILI, პ/ნ 18001013307; ტელ.: 0322401010 (3689); ელ. ფოსტა: z.kukchishvili@sda.gov.ge), ან გარე მომხმარებლებთან ურთიერთობის მართვის სამსახურის ანალიტიკოსი - **ირაკლი თაბაგარი** (IRAKLI TABAGARI, პ/ნ 35001090110; მობ.: 591503766; ელ. ფოსტა: i.tabagari@sda.gov.ge), ხოლო ცენტრის მხრიდან - სამედიცინო სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემთა ანალიზისა და წარდგენის სამმართველოს უფროსი - **ქეთევან ღამბაშიძე** (Ketevan Gambashidze პ/ნ 01027014512; ტელ.: 577 387007; ელ. ფოსტა:k.gambashidze@ncdc.ge).“.

2.2 ხელშეკრულების 10.1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„10.1 წინამდებარე ხელშეკრულება მოქმედებს 2014 წლის 01 ნოემბრიდან და ძალაშია 2017 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით.“.

მუხლი 3. დამატებითი პირობები

3.1 წინამდებარე შეთანხმება შედგენილია 4 (ოთხი) ეგზემპლარად, თითოეულ მხარეს გადაეცემა თითო ეგზემპლარი.

ნინო ინწკირველი	ირაკლი გვენეტაძე	ზაზა სოფრომაძე	ამირან გამყრელიძე

3.2 შეთანხმება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3.3 შეთანხმება წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს მასთან ერთად.
3.4 ხელშეკრულების ყველა სხვა პირობა რჩება უცვლელი.

მუხლი 4. მხარეთა რეკვიზიტები

4.1 სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო - მის.: თბილისი, 0154, აკ. წერეთლის გამზირი №67ა, ს/კოდი 202307404.

4.2 საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო - მის.: ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზირი №144.

4.3 სსიპ "ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი" - მის.: თბილისი, ასათიანის ქ. №9, ს/კოდი 211324351.

ნინო ონწვირველი	ირაკლი გვენეტაძე	ზაზა სოფრომაძე	ამირან გამყრელიძე